



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 387/ს
03/10/2022

387-21-4-202210031540



ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნახახულევში შპს „ბუნებას“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ბუნებას“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნახახულევში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „ბუნება“ საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 18,9 ჰა ჯამური ფართობის მქონე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 37.05.39.583; 37.05.39.582) კომპანია გეგმავს პავლოვნის პლანტაციის გაშენებას. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 364 მეტრში, ხოლო ტუმბოს განთავსების წერტილიდან დაახლოებით 185 მეტრში. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. შუა კუხი მიედინება მიწის ნაკვეთის დასავლეთით, დაახლოებით 35 მეტრში, ხოლო მდ. ზემო კუხი მიედინება საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით დაახლოებით 190,04 მეტრში. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 270 მეტრში მდებარეობს სახელმწიფო ტყე. მიწის ნაკვეთები უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, პავლოვნის პლანტაციის მოსარწყავად წყალაღება დაგეგმილია მდ. ზემო კუხიდან. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X - 291411.239; Y - 4691937.665. მდინარიდან წყალაღება მოხდება 16 მ³/სთ წარმადობის მქონე ტუმბოს მეშვეობით. აღებული წყალი 190,4 მ სიგრძის (დიამეტრი 90 მმ) მქონე, მიწისქვეშა პოლიეთილენის მილის საშუალებით მიყვანილი იქნება საპროექტო მიწის ნაკვეთამდე, სადაც გათვალისწინებულია საფილტრაციო და სასუქის შემრევი სადგურის მოწყობა, რისთვისაც 12 მ² მიწის ნაკვეთზე მოეწყობა არმირებული მოედანი (3X4მ). მილის განთავსების მიზნით მოეწყობა ტრანშეა (60X50), ხოლო ტრანშეის მოწყობის სამუშაოების შემდეგ, წარმოქმნილი ნიადაგის ფენა, გამოყენებული იქნება უკუყრილის სახით. დაზიანებისაგან დაცვის მიზნით, აღნიშნული მილი მოთავსდება სპეციალურად მოწყობილ კოლექტორში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, სარწყავი სისტემისა და მისი ინფრასტრუქტურის მოწყობა არ არის დაკავშირებული ნიადაგზე/გრუნტზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. როგორც უკვე აღინიშნა, მილსადენის ტრანშეაში

განთავსების შემდგომ, ექსკავირებული გრუნტი სრულად იქნება გამოყენებული უკუყრისთვის. დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებს. სამუშაოები განხორციელდება ტექნიკის გამოყენებით. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, საპროექტო ტერიტორიამდე დამატებითი მისასვლელი გზების მშენებლობა გათვალისწინებული არ არის. სამელიორაციო სისტემისა და მისი ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები გაგრძელდება 2-3 კვირის განმავლობაში და დასაქმებული იქნება 10 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დასარგავი ნერგების რაოდენობის გათვალისწინებით, პავლოვნიის პლანტაციის მოსარწყავად, წელიწადში გათვალისწინებულია 23 310 მ³ წყლის აღება. მდ. ზემო კუხის წყლის სარწყავად გამოყენება მოხდება სეზონურად, 6 თვის (აპრილი-სექტემბერი) განმავლობაში. დოკუმენტის თანახმად, მოცემული რაოდენობით მდ. ზემო კუხიდან წყლის ამოღებით, მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სტაციონარული წყაროების განთავსებას. როგორც უკვე აღინიშნა, სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული იქნება ტექნიკა. შესაბამისად, სარწყავი სისტემისა და მისი ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის (2-3 კვირა), ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ტექნიკა იმუშავებს დღისით, 3-4 საათის განმავლობაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება სამელიორაციო სისტემის ფუნქციონირებას, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, იგი არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სარწყავი სისტემისა და მისი ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების პროცესში, დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბის, ხანგრძლივობისა (2-3 კვირა) და გამოსაყენებელი ტექნიკის გათვალისწინებით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, სამელიორაციო სისტემისა და მისი ინფრასტრუქტურის მოწყობა განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში. მოწყობის სამუშაოების ეტაპზე ხმაურით დაბინძურების წყაროს წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებები და ტექნიკა. იმის გათვალისწინებით, რომ სამუშაოები განხორციელდება შემჭიდროებულ ვადებში, ზემოქმედებას ექნება დროებითი ხასიათი. რაც შეეხება სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის ეტაპს, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება წყალადების წერტილში განთავსებული ტუმბო. უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაშორების მანძილისა (185 მ) და ტუმბოს სიმძლავრის (16 მ³/სთ) გათვალისწინებით, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურის დასაშვები დონეების გადაჭარბებას ადგილი არ ექნება.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რომელთა შეგროვება მოხდება შესაბამის კონტეინერებში და გატანილ იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს. როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 270 მეტრში მდებარეობს სახელმწიფო ტყე, თუმცა, დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკისა და იმის

გათვალისწინებით, რომ სამელიორაციო სისტემისთვის განკუთვნილი მილსადენის დერეფანი არ კვეთს აღნიშნულ ტყეს, სარწყავი სისტემის მოწყობითა და ექსპლუატაციით სახელმწიფო ტყეზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო და მიმდებარე ტერიტორია წლების განმავლობაში განიცდიდა ანთროპოგენურ ზემოქმედებას. ვიწრო ზოლისებრი ჩანართების სახით გვხვდება ფართოფოთლოვანი ხე-მცენარეები, თუმცა პროექტის მასშტაბიდან გამომდინარე მათი მოჭრა არ იგეგმება. შესაბამისად, სამელიორაციო სისტემისა და მისი ინფრასტრუქტურის მოწყობა არ იქნება დაკავშირებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, წყალაღების წერტილის მიმდებარედ არ ფიქსირდება სხვა წყალმოსარგებლები, შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის შედეგად, კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხონის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნახახულევში, შპს „ბუნებას“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ბუნება“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ბუნებას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბუნებას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო